საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4939
01/09/2022

4939-21-2-202209011536

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3732 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადახლოში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. დებედას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საქმიანობის მახასიათებლების თავში აღნიშნულია, რომ პროექტით გათვალისწინებულია 260 მ სიგრძის ლოდნარი დამბის მოწყობა, ხოლო ამავე თავში მითითებულია რომ საპროექტო სამუშაოები შემოიფარგლება მარტივი კონსტრუქციის ნაპირგასწვრივი ქვანაყარი ნაგებობების მოწყობით. დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს დროებითი დამბის GPS კოორდინატები, ამასთან სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს დროებითი დამბის სამშენებლო სამუშაოების, პარამეტრებისა და ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაციას;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს პროექტით გათვალისწინებული დროებითი დამბის განთავსების Shp ფაილები;
- განცხადებაში წარმოდგენილი „საპროექტო ობიექტის გეოგრაფიული კოორდინატები“ საჭიროებს დაზუსტებას;
- საკვლევ უბანზე საანგარიშო ხარჯი გაანგარიშებულია მეთოდით, რომელიც გათვალისწინებულია 400 კმ^2-ზე ნაკლები წყალშემკრები აუზის ფართობის მდინარეებისათვის, რაც დაუშვებელია. საპროექტო უბანზე გამოყენებული უნდა იყოს მდინარე დებედას აუზისათვის ხარჯის განმსაზღვრელი შესაბამისი რეგიონული ფორმულა;

- იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს ჰიდროლოგიური პარამეტრები, საჭიროა, რომ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებული იყოს ყველა ფორმულაში შემავალი სიდიდეების რიცხვითი მნიშვნელობები;
- რადგან ნაგებობა გაანგარიშებულია წყლის ხარჯის 3 %-იან უზრუნველყოფაზე, წარეცხვის საანგარიშო დონე გადათვლილი უნდა იყოს არა 100 წლის დატბორვის დონიდან, არამედ 3 %-იან ხარჯის შესაბამისი დონიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო